ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225 82 43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 31 12 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/474

ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში" 2014 – 2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი და განმეორებითი გამოცდების პროცედურული ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, რექტორის 2014 წლის 10 ოქტომბრის N 02-02/344 ბრძანებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის", „2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" რექტორის 2014 წლის 24 ივლისის N02-02/183 ბრძანების მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დოკუმენტურად დადასტურებული საპატიო მიზეზით შულედურ გამოცდაზე გამოუხცადებლობის შემთხვევაში, დამატებით გამოცდაზე დასაშვებად დოკუმენტდართული განცხადებების (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სახელზე) დარეგისტრირების ვადად განისაზღვროს დასკვნითი გამოცდის პერიოდი და მომდევნო კვირის ორშაბათი და სამშაბათი (2015 წლის 20.01-10.02);
2. გამოცდების ცხრილი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს:
   2.1. დასკვნითი გამოცდების - 2015 წლის 12 იანვარს 18^{00} საათზე;
   2.2. დამატებითი გამოცდების - 2015 წლის 11 თებერვალს 18^{00} საათზე;
3. დასკვნითი გამოცდების შედეგები მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახოს 2015 წლის 22 იანვრიდანდან 17თებერვლის ჩათვლით;
4. დამატებითი გამოცდების შედეგები მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად აისახოს 2015 წლის 18-დან 25თებერვლის ჩათვლით;
5. დასკვნითი და დამატებითი გამოცდების გასაჩივრების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 18 -26 თებერვალი;
6. ნაშრომები სააპელაციო კომისიას განსახილველად გადაეცეთ 2015 წლის 26 თებერვალს;

7. აპელაციის შედეგები სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის გამოცდების, შეფასებებისა და ტრანსფერების საქმიანობის ეცნობის არაუგვიანეს 2015 წლის 28 თებერვლისა;

8. აპელაციის შედეგები მართვის ელექტრონულ სისტემაში სრულად ასახოს 2015 წლის 28 თებერვალს;

9. ბრძანება განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;

10. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე